

ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #33

2024წ. 20 თებერვალი 11.30 საათი

ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა.ხუჯაძე, ლ.დავითაშვილი,
თ.ბიკაშვილი, მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ნინო ბაგაშვილი - სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ვახტანგ ლომჯარია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი

მაია გძელიძე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო
სამსახურის წარმომადგენელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე

ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა
გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის
წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის ზემოთ მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.258, ფართობი - 600 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“
#12-0324031234-03 01.02.2024წ.
2. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მიცვეციჩის ქუჩა N66/N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.016.015, N01.10.14.016.012 ფართობი - 865 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“
#12-0324031233-03 01.02.2024წ.
3. „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.004) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ნიუ გრუპ ვაკე“-ს (ს/ნ 405322155) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“
12-032403266-03 02.03.2024წ.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ
12-032404613-03 15.02.2024წ.
5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
#12-032404718-03 16.02.2024წ
- 6.1 შპს „არქი ვარკეთილის“ (ს/ნ 405247754) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III (ნაკვ.06/037) (ს/კ: 01.19.20.006.135) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/ დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს;
- 6.2 შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ისანი თაუერსის“ (ს/ნ 404614681) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 (ს/კ: 01.17.13.038.024) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს;
- 6.3 „მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N22 (საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ველ ჰაუზ დეველოპმენტი“-ს (ს/ნ 405204540) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს;
- 6.4. შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ (ს/ნ 406228283) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ (ს/კ 01.10.07.007.093) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით

დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს;
#12-032404785-03 16.02.2024წ.

1. მოისმინეს:

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა სხდომაზე წარმოადგინა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის ზემოთ მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.258, ფართობი - 600 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2023 წლის 16 ოქტომბრის N01232893950-67, (012330919-67, 01233123-67, 01233123848-67, 01233133527-67, 01233193698-67, 01233243898-67, 01233253728-67) განცხადებით დაინტერესებულმა პირმა N01.14.16.015.258 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.5), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.5-მდე, რაც ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიაზე 8 მიწისზედა სართულის განთავსებას. ასევე, დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა 307,614.00 (სამას შვიდი ათას ექვსას თოთხმეტი) ლარით.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე, თ.ბიკაშვილი

2. მოისმინეს:

სხდომაზე განხილული იქნა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა N66/N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.016.015, N01.10.14.016.012 ფართობი - 865 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“.

ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.7-

მდე, რაც ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიაზე 8 სართულიანი შენობა - ნაგებობის განთავსებას. არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,012,088.64 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე რის შემდეგაც განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 1,012,088.64 ლარით.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე, თ.ბიკაშვილი

3. მოისმინეს:

ნინო ბაგაშვილმა წარმოადგინა, აგრეთვე, „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.004) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ნიუ გრუპ ვაკე“-ს (ს/ნ 405322155) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“.

დაინტერესებულმა პირმა, შპს „ნიუ გრუპ ვაკე“-მ (ს/ნ 405322155) წარმოადგინა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლებისთვის გათვალისწინებული დოკუმენტაცია. შპს „ნიუ გრუპ ვაკე“-ს (ს/ნ 405322155) მიერ ფართის სახით გასაცემი ვალდებულებაა - 1353.07 კვ.მ

საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დაინტერესებული პირი ითხოვს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას 2.5-დან 4.9-მდე

ბ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური პარამეტრების დაცვის ვალდებულების გაუქმებას;

გ) შენობა-ნაგებობის გათავისუფლებას განთავსებისა და სიმაღლის განსაზღვრის რეგულაციის დაცვისაგან;

დ) ავტოსადგომების სავალდებულო რაოდენობის მოთხოვნისაგან გათავისუფლებას.

N01.14.11.017.004 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

განაშენიანების რეგულირების წესების მიხედვით, თუ მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტი კონკრეტული ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მაშინ მისი სამშენებლოდ განვითარების განსაზღვრისას არც ერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ზონის ფართობი შეადგენს არანაკლებ მიწის ნაკვეთის 3/4-ს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ამ ზონისთვის განსაზღვრული მოთხოვნები, რზ-1-ის რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული რეგულირება არ ვრცელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში სამშენებლოდ განვითარებისას.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე, თ.ბიკაშვილი

4. მოისმინეს:

მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მათა გმელიძემ წარმოადგინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ პროექტი. ცვლილებები ხორციელდება 2024 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (200 034,9 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 10 000,0 ათასი ლარით და შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის - 16 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 15 000,0 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან - 5 000,0 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივებიდან (მიწა) - 10 000,0 ათასი ლარი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 241 034,9 ათასი ლარით და შეადგენს 2 004 389,6 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 23 473,8 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 432,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 25 346,7 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 12 043,5 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) - 209,3 ათასი ლარით, საპროექტო-სამდიეო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 210,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 9 647,0 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) - 135,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 295,1 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში - 5 944,5 ათასი ლარით, ქალაქის

განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 24 753,4 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 30 300,0 ათასი ლარით, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 487,6 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - 3 720,2 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 200,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) - 205,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა რაიონებში - 5 338,0 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) - 800,0 ათასი ლარით, სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება (კოდი 06 01 04) - 500,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 1 080,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) - 201,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) - 1 000,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 250,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) - 1 562,0 ათასი ლარით (მათ შორის ორხევში, მუხამის ქ.12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისიდან გამოყვანილი 76 უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახის ბინის ქირა - 912,0 ათასი ლარი), სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) - 100,0 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) - 35,0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 27 991,5 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) - 4 099,5 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 590,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) - 2 489,1 ათასი ლარით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) - 50,0 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) - 237,6 ათასი ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) - 2 770,9 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 17 297,2 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 1 761,3 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) - 315,5 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში - 1 085,4 ათასი ლარით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) - 2 931,2 ათასი ლარით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 04) - 22,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 2 038,8 ათასი ლარით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) - 133,7 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) - 55,3 ათასი ლარით, ისნის რაიონის გამგეობა - 200,0 ათასი ლარით.

ამასთან, „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N65 დადგენილების გათვალისწინებით, მსხვილი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი, რომელიც აღემატება 20 მლნ ლარის და მეტი ღირებულების პროექტს ცალკე პროგრამული კოდების სახით უნდა იყოს გამოყოფილი ბიუჯეტში. შესაბამისად, ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა - თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება (კოდი 01 02 04) - 118 119,9 ათასი ლარის ოდენობით

და ახალი პროგრამა - რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია (კოდი 03 04) - 26 000,0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აერთიანებს შემდეგ ქვეპროგრამებს: სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა (კოდი 03 04 01) - 6 000,0 ათასი ლარი, ვერის ზადის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 02) - 10 000,0 ათასი ლარი, ვაკის პარკის შეადრევენების და კასკადის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 03) - 10 000,0 ათასი ლარი.

მცირდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 113 082,0 ათასი ლარით, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) - 71,1 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები - 270,0 ათასი ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 8 000,0 ათასი ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, რამაც შეადგინა 4876 ერთეული.

5. მოისმინეს:

ვახტანგ ლომჯარიამ კომისიის წევრებს გააცნო „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“ (შემდგომში - განაშენიანების რეგულირების წესები) წარმოადგენს რა ქალაქთმშენებლობითი რეგულირების სისტემის ნაწილს, არეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებისათვის ქალაქთმშენებლობის სპეციფიკურ სამართლებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ამ სამართალურთიერთობის მონაწილეთა და მესამე პირთა უფლება-მოვალეობებს.

განაშენიანების რეგულირების წესების V თავი (39^ა-39^ბ) არეგულირებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მათ შორის, ეს თავი აზუსტებს, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად შეიძლება განისაზღვროს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდა“.

ამასთან, განაშენიანების რეგულირების წესების 39^ბ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, გადასახდელი ფასის ოდენობას განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. აღნიშნული ფასის დადგენის მიზნით, პრაქტიკაში არსებობს შესაბამისი ფორმულა, რის მიხედვითაც ყველა შემთხვევაში ერთგვაროვნად, ერთნაირი პრინციპით ხდება ამ ფასის განსაზღვრა. ეს ფორმულა, მართალია ყოველთვის მიეთითება და იწერება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობის შესაბამისი განკარგულებაში, თუმცა მიზანშეწონილია ეს ფორმულა ნორმატიულად გაიწეროს ასევე განაშენიანების რეგულირების წესებშიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხდება პრაქტიკულად ტექნიკური ხასიათის ცვლილება განაშენიანების რეგულირების წესებში და 39⁵ მუხლს ემატება მე-3 პუნქტი, სადაც მიეთითება სწორედ ამ ფასის გადახდის პრინციპი და საანგარიშო ფორმულა:

$$X = L \cdot S \cdot (K2^1 - K2) / K2$$

სადაც:

- ა) X არის ბიუჯეტში გადასახდელი ფასის ოდენობა;
 - ბ) L არის 1მ² მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი;
 - გ) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი.
 - დ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;
 - ე) K2¹ არის მიწის ნაკვეთისათვის მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;
 - ბ) პროექტის ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთება:
- პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, რადგან ხდება მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ცვლილება.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე, თ.ბიკაშვილი

6. მოისმინეს:

სხდომაზე განხილული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბატონი კახა კალაძის წერილი #12-032404785-03 16.02.2024 წ. 1) შპს „არქი ვარკეთილის“ (ს/ნ 405247754) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III (ნაკვ.06/037) (ს/კ: 01.19.20.006.135) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მიეცეს თანხმობა არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით შემდეგი დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე - არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ისანი თაუერის“ (ს/ნ 404614681) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 (ს/კ: 01.17.13.038.024) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 01.17.13.038.024) მიმართებაში, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) 14.28 გადანაწილება „გასაშუალოებული“ კოეფიციენტის სახით, მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.17.13.038.024, 01.17.13.038.042, 01.17.13.038.041; 01.17.13.038.049, 01.17.13.038.047, 01.17.13.038.048, 01.17.13.038.057) გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე მეათედი დამრგვალების სიზუსტით დაანგარიშების პრინციპიდან გამომდინარე და განისაზღვროს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) - 5.812-ით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებები (N49, 9.02.2021) და დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებები (N 344; N306; 16.07.2022; 30.06.2023) დარჩეს უცვლელი. აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები გავრცელდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე მხოლოდ მიწის ნაკვეთიდან - ს/კ 01.17.13.038.024 გადანაწილებული/გადატანილი სამშენებლო მოცულობის ფარგლებში.

შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ (ს/ნ 406228283) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ (ს/კ 01.10.07.007.093) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე - „შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ (ს/ნ 406228283) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ (ს/კ: N01.10.07.007.093) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N461 განკარგულების პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულება შპს „ქოზი ჰოუმ თბილისმა“ (ს/ნ 406228283) უზრუნველყოს 2024 წლის 30 ივნისამდე.

ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N22 (საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი“-ს (ს/ნ 405204540) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი“-ს (ს/ნ 405204540) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N22 (ს/კ 01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება

N21.1611.1796; N22.1072.1159; 18.11.2021; 08.07.2021) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულებები N549, N342; 19.11.2021; 16.07.2022) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ველ ჰაუს დეველოპმენტი“-ს (ს/ნ 405204540) მიერ შესასრულებელი ვალდებულება ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში ჩათვალის შესრულებულად და ამავე განკარგულებებით (N549, N342; 19.11.2021; 16.07.2022) გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე, თ.ბიკაშვილი

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.


კითხვები დასვეს: ლ.არველაძე, ლ.დავითაშვილმა, თ.ბიკაშვილმა, მ.კაკაურიძემ, გ.შარაშიძემ

მოწვეულმა სტუმრებმა ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ განხილული 6 საკითხი შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხების საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



ლ.არველაძე